ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 42

09.06.2020
13:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 9 ივნისს, 13:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი **ვლადიმერ ჭიღლაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი **ანდრია ბასილაია,** თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი **მარიამ ჩივაძე,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(12-032014195-03; 20.05.2020).* (**მომხსენებელი - ვლადიმერ ჭიღლაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი);

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(12-03201534-03; 01.06.2020).* (**მომხსენებელი - მარიამ ჩივაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი);

3. **სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიმდინარე საკითხები (მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);

სხდომა წარიმართა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიასთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას კანდიდატურა - კომისიებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა.

ვლადიმერ ჭიღლაძე - მოგესალმებით, ვინაიდან ბატონ ანდრიას კარგად იცნობთ, მის შესახებ მოკლედ ვისაუბრებ. შეგახსენებთ, რომ მას განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ, კერძოდ კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ის მუშაობდა წამყვან პოზიციებზე, როგორც კერძო, ასევე საჯარო უწყებებში. 2017 წლიდან იკავებდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ორი საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობას, სადაც მის მიერ განხორციელდა არაერთი საინტერესო და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტი. გთხოვთ, თანხმობას აღნიშნული კანდიდატურის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა.

აზრი გამოთქვეს:

შალვა ოგბაიძე - მოგესალმებით, რამდენიმე სიტყვით უკვე გავესაუბრე ანდრიას, თუმცა ახლა მინდა სხდომაზე დავაფიქსირო, ვინაიდან მოქალაქეები აქტიურად იკრიბებიან სკვერებსა, თუ პარკებში დღევანდელი პანდემიის პირობებშიც კი, ჩვენ უნდა ვისწავლოთ კორონავირუსთან თანაარსებობა, რაც ყურადსაღები ფაქტია და კარგი იქნება რაიონულმა გამგეობებმა მოახდინონ შესაბამისი ზედამხედველობა, თუნდაც მოხალისეობრივი ელემენტის ჩართულობით, რათა ხელი არ შეეშალოს შეკრებას და მოხდეს ჯანმრთელობის დაცვისთვის შესაბამისი ზომების მიღება.

გიორგი ჩაკვეტაძე - ჯერ კიდევ 2017 წლის შემოდგომიდან ორი მნიშვნელოვანი სპორტული მულტიფუნქციური ცენტრის პროექტის განხორციელება დაიწყო ვარკეთილსა და დიდ დიღომში, რომელიც პანდემიის პირობებშიც არ შეჩერებულა და ახლაც მიმდინარეობს. აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანია მთლიანად ქალაქისთვის. ჩვენ, ასევე გვაქვს ძალინ მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც სპორტსმენების წახალისებას გულისხმობს, ჩვენი კომისიის რამდენიმე წევრიც სპორტული ფედერაციის წარმომადგენელია, როდესაც გვაქვს ფედერაციებთან შეხვედრა სულ ვაფიქსირებთ მათ მხარდაჭერას, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე ახლა ასეთი შეხვედრები, ალბათ რთული განსახორციელებელი იქნება. კომისია აქტიურად მუშაობს თბილისის მასშტაბით საჯარო სკოლების ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლადაც და

რაიონული გამგეობების ბალანსზე არსებულ მინი-სტადიონების ერთიან სტანდართით მოწყობასთან დაკავშირებით, რომელთა რაოდენობა ქალაქის მასშტაბით 700-მდეა. აღნიშნული ინფრასტრუქტურის გამოწვევებზე დარწმუნებული ვარ აქტიურად ვითანამშრომლებთ. მინდა ხაზგასმით ავღნიშნო, რომ სტუდენტების წახალისება და ახალგაზრდული პროგრამები შენარჩუნებულია ამ მოცემულობით ბიუჯეტში, რაც მისასალმებელია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, გიორგი მუსხელიშვილი, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (7), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესში ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია - კომისიებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა.

მარიამ ჩივაძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ სოციალურ პროგრამაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ ეს გახლავთ, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებზე. ამ სამი პროგრამის ბენეფიციარები პანდემიიდან გამომდინარე ვერ ახერხებდნენ შესაბამისი სერვისის (სწავლების) მიღებას. შესაბამისად, ა(ა)იპ-ების თანამშრომელი მასწავლებლები და მწვრთნელები, მარტი, აპრილი, მაისი და ივნისი ვერ შეძლებენ შრომითი საქმიანობის განხორციელებას, აქედან გამომდინარე მათ ავანსის სახით ეს თვეები შეუნარჩუნდებათ ანაზღაურება, სწორება მოხდა თებერვლის თვის შემოსავლების შესაბამისად. აღნიშნული პროგრამის მიზანია, რომ მწვრთნელ-მასწავლებლებმა, რომელთა მუშაობა შეჩერებულია პანდემიის გამო, მაინც მიიღონ კუთვნილი ანაზღაურება, რასაც პანდემიამდე იღებდნენ. ეს გახლავთ ავანსის სახით გაცემული ანაზღაურება, რომელიც 100% ანაზღაურდება. აღნიშნული ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას არ გამოიწვევს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ

ცინცაძე, გიორგი მუსხელიშვილი, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (7), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიმდინარე საკითხების შესახებ ინფორმაცია - კომისიას წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

გიორგი ჩაკვეტაძე - რაც შეეხება მიმდინარე საკითხებს ელექტრონულ ფოსტაზე კომისიის წევრებს გადმოგეგზავნათ, მოქალაქე ლევან კორინთელის წერილი, რომელიც გახლავთ საპატიო თბილისელის სტატუსის მოთხოვნასთან დაკავშირებით, გთხოვთ გაეცნოთ აღნიშნულს და ერთიანი პოზიციით მოვახდინოთ შესაბამისი რეაგირება. ასევე კომისიამ დავგეგმოთ და მერის ახალ მოადგილესთან ერთად დედაქალაქის მასშტაბით მიმდინარე სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო სამუშაოებს გავეცნოთ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო მოქალაქე ლევან კორინთელის წერილი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე